

## საქართველოს კანონი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №9, 1993წ. მუხ.187) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ფ) პირის მიერ კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, უზრუნველყოს აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთა, გარდა სავარაუდო ხელმოყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა. პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ სავარაუდო ხელმოყოფისთვის მიცემული წერილობითი გაფრთხილების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრება არ აჩერებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებას და წერილობით გაფრთხილების (ადმინისტრაციული აქტის) მოქმედებას.“

2. მე-20 მუხლის პირველი და 1<sup>1</sup> პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პოლიციაში სამუშაოდ მიიღებიან 18-დან 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები:

ა) რომლებსაც თავიანთი პიროვნული<sup>1</sup> და საქმიანი თვისებების, კანათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად შეუძლიათ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები;

ბ) რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ენას.

1<sup>1</sup>. წვევამდელმა პოლიციაში მიღებამდე ან მიღების შემდეგ უნდა გაიაროს სპეციალური მომზადების პროგრამა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესით.“

3. მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ალკოპოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან/და სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი. ქრონიკულ სნეულებათა ჩამონათვალს ერთობლივად ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;“

4. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პოლიციაში სამუშაოდ მისაღებ პირს, ასევე პოლიციის უმცროსი სპეციალური წოდების მქონე პოლიციელს, შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნისას, სპეციალური მომზადების პროგრამის გავლის შემდეგ მიენიჭება პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

5. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 29. პოლიციელის წახალისება

„1. პოლიციელის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) ფულადი პრემია;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) სამინისტროს სიგელით დაჯილდოება;
- ე) სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;
- ვ) სამინისტროს მედალიონით დაჯილდოება;
- ზ) სამინისტროს მედლით დაჯილდოება;
- თ) მორიგი სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;
- ი) ადრე დადებული დისციპლინური სასჯელის ვადაზე ადრე მოხსნა;
- კ) სამოქალაქო ან სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით დაჯილდოება;
- ლ) სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

2. ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნას წახალისების რამდენიმე ფორმა.

3. პოლიციელის წახალისება შეუძლია საამისოდ უფლებამოსილ პირს.

4. პირის მიერ პოლიციისათვის გაწეული დახმარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წახალისების ფორმები „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფორმების გარდა.

5. პოლიციელის წახალისების წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი